



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 24 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №265/18

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 02 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №234/265-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ №-- საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №235/265-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 23 იანვარს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სხდომის მიმდინარეობისას წარმოდგენილ მტკიცებულებებზე (აუდიო-ვიდეო ჩანაწერებზე) მოსამართლე მის სასარგებლო შეფასებებს აკეთებდა, რის მიუხედავადაც, მიღებული გადაწყვეტილებით მისი საჩივარი არ დააკმაყოფილა. მოსამართლე მის მიმართ იყო მტრულად განწყობილი და ხშირად უხეშად აფრთხილებდა სასამართლო ჯარიმაზე. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მთელი პროცესის დროს მოსამართლე იყო მიკერძოებული და ტენდენციური.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2018 წლის 04 ოქტომბერს საჩივრით მიმართა --- -- სასამართლოს. საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი სადავოდ ხდოდა და არ ეთანხმებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წესით მის დაჯარიმებას. --- -- სასამართლოს 2018 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით, --- -- უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2018 წლის 16 ოქტომბრის სხდომის აუდიო ოქმის მიხედვით, მოსამართლის მხრიდან საჩივრის

ავტორის მიმართ უხეშად მიმართვის ან ტენდენციური დამოკიდებულების დამადასტურებელი რაიმე ფაქტი არ გამოვლენილა. ასევე არ დადასტურდა მოსამართლის მხრიდან განსახილველ საქმესთან მიმართებაში რაიმე ფორმით წინასწარი შეფასების გაკეთების ფაქტი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შევასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საქმის მასალების მიხედვით, მოსამართლე -- -- მიერ მიღებული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა -- -- საჩივარი, რასაც საჩივრის ავტორი არ ეთანხმება.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზით, მოსამართლის გადაწყვეტილება წარმოადგენს სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის შეფასებაც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია, ისევე როგორც დისციპლინური მსჯელობის საგანი ვერ გახდება მოსამართლის მიერ კონკრეტული მტკიცებულების (მათ შორის, ფოტო-ვიდეო მასალის) შეფასების საკითხი, რაც წარმოადგენს კანონიერების სფეროს.

ამასთან, 2018 წლის 16 ოქტომბრის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის მიხედვით, არ დადასტურდა მოსამართლის მხრიდან საჩივრის ავტორის მიმართ ტენდენციური, მიკერძოებული ან/და უხეში დამოკიდებულების ფაქტი. აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 23 იანვრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 02 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 02 ნოემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი